

ანზორ პაპესაძის

კეცლოვან თე  
ლანდეშებული?

ერილი VII

თბილისი  
2013

ISBN 978-9941-0-0352-3      (ყველა ნაწილის)  
ISBN 978-9941-0-5906-3      (მეშვიდე ნაწილის)

## ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

„შეცდომა თუ დანაშაული?!”-ს მეხუთე კრებულის რეცენზია, პროფესორმა რევაზ ბალანჩივაძემ ასე დაასრულა: „ბატონო ანზორ! დაე ეს წიგნი იქცეს თქვენი გულისტკივილის გამოხატვის ბოლო წიგნად”. მისდამი ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, სამწუხაროდ წერტილი ვერ დავსვი, რადგან ჯერ-ჯერობით საქმე ისე არ მიდის, როგორც ვოცნებობდით. ამიტომ „გამოვაცხვე” მეექვსე კრებულიც. ახლა თქვენს ხელთაა მეშვიდე წიგნი. ვფიქრობ, ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, 2014 წლის დასაწყისში, მერვე კრებულსაც გამოვკრავ ხელს და მხოლოდ ამის შემდეგ შევუსრულებ თხოვნას პროფ. რ. ბალანჩივაძეს.

თქვენს ხელთ არსებული კრებულის საავტორო გვერდში, საჭიროდ ჩავთვალე გაგაცნოთ საკმაოდ ვრცელი ამონარიდი ჩემი წიგნიდან: „კულავაც ვწეროთ და ჩვენვე ვიკითხოთ” (2004 წელი). აი ისიც:

„როგორც ეკონომისტს და სახელმწიფო მოხელეს, ჩემი პოზიციები მიტინგებზე და მსგავს თავყრილობებზე არასოდეს გამომითქვამს. ასეთ ღონისძიებებზე პროფესიონალი სპეციალისტის გამოსვლებს არ ვამართლებდი, რადგან ის მასის თვალში იაფფასიანი ავტორიტეტის მოპოვების იოლ გზად მიმაჩნდა. ასეთ შემთხვევებში წარმატებას მხოლოდ მაშინ მოიპოვებ, თუ შენს

გამოსვლაში ჭარბობს პოპულიზმი, ანუ მუშაობ მასის რეაქციის ეფექტზე. ამის საწინააღმდეგოდ, პრობლემატურ საკითხებზე ჩემს პოზიციებს არცთუ ისე იშვიათად ვაფიქსირებდი მხოლოდ პრესაში, ან ოფიციალურ დოკუმენტებში, მით უმეტეს, რომ საკუთარი აზრის გამოთქმის ამ ფორმების გამოყენება ჩემი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო პრობლემას არ წარმოადგენდა.

ხშირად ასეთ გამოსვლებს საკმაოდ მძაფრი რეაქცია მოჰყვებოდა ხოლმე. ზოგი მხარს მიჭერდა, ზოგი კი რას არ მწამებდა, „ნეოკომუნისტობიდან” დაწყებული, „საბაზრო ეკონომიკის მტრობით” დამთავრებული. აქედან გამოდინარე, რამდენჯერმე გავიფიქრე კიდეც, რა ძალა მადგას, რას გადავიკიდე ამდენი ხალხი-მეთქი. მიუხედავად ამისა, ჩემი პრინციპების წინააღმდეგ სვლას ან გაყუჩების პოლიტიკის თამაშს ვერ ვახერხებდი. მჯეროდა და მჯერა, რომ მაინც ისა სჯობს, როცა სათქმელს დროულად იტყვი. როცა ვთვლიდი, რომ მართალს ვამბობდი, იმაზე ნაკლებად ვფიქრობდი, ვის ეწყინებოდა და ვის მოეწონებოდა.“

# შექმნით ხალხის დაბოლებას, კრაპა!

უკანასკნელ პერიოდში, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, ეგრეთ წოდებულმა პოლიტიკოსებმა და მათმა ვითომ პარტიებმა, ზომაზე მეტად გაააქტიურეს პიარქაციები, რითაც მოსახლეობას თვალებში ნაცარს აყრიან.

აღნიშნულის დასტურად, საქართველოს განვიხილოთ მხოლოდ ერთი პრობლემა, რომელსაც ყბადაღებული „ფიქსირებული გადასახადი“ ჰქვია. ხმამაღლა ვაცხადებ, თქვენ ეს საკითხი არ იცით, რაღაც-რაღაცებზე ყური მოგიკრავთ და მეწარმეებზე მზრუნველი პიროვნებების მანგიამოსხმულები ხავსს ეკიდებით, რაც თუ-თაშიასი არ იყოს, „არაა თქვენი საქმე“.

ხმამაღლა ნათქვამია? მაშინ ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ, მაქვს თუ არა ერთ რიგით ეკონომისტს, თქვენი საქმიანობის ამ ნაწილზე, ასეთი შეფასების გამოთქმის უფლება და შემდეგ შემოგთავაზებთ კონკრეტულ წინადადებას, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს უკვე დიდი ხნის წინათ მომწიფებული პრობლემა.

20 წელზე მეტია, სხვა ეკონომიკური პრობლემების პარალელურად, ჩემი, როგორც ეკონომისტის საქმიანობა, სწორედ საგადასახადო სისტემის სრულყოფას და, კერძოდ, ფიქსირებულ გადასახადს დავუკავშირე. ამ თემაზე ჩემს მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე ათეული სტატიიდან, ერთ-ერთის სათაური ასე ჟღერს: „ფიქსირებული გადასახადები — ტოტალური საგადასახადო კორუფციის შემცირებისა და მეწარმეების გადარჩენის ერთადერთი

შანსი“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წლის 1 აგვისტო); როგორც საქართველოს მთავრობის მაშინდელმა მთავარმა სახელმწიფო მრჩეველმა, ხოლო უფრო ადრე ვაჭრობის სამინისტროს ეკონომიკური სამმართველოს უფროსმა, მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1992-1993 წლებში მთავრობას ამ პრობლემასთან დაკავშირებით მივაღებინე ორი სპეციალური დადგენილება: ჩემი პოზიციების დასაცავად, არაერთი ხელჩართული ბრძოლა გადავიტანე როგორც საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტების, ისე მთავრობის სხდომებზე; არც ღია ეთერში, სატელევიზიო დებატებზე, რადიო გადაცემებზე და ხელისუფლების მიერ დაქირავებულ ჟურნალისტებთან პოლემიკაზე მითქამს უარი და ა. შ. და ა. შ.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის განსაკუთრებით ე. წ. პოლიტიკოსებს ვთავაზობ, მოაწყვეტ შეხვედრა სათანადო სპეციალისტებთან „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით და იქ დასახეთ ამ პრობლემის გადაწყვეტის რეალური გზები.

შემოთავაზებული შეხვედრის მოწყობის ორგანიზატორთა სურვილის შემთხვევაში, მზად ვარ მონაწილეობა მივიღო მის მუშაობაში.

## ანზორ გაბუხადია

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 04.01.2012

# ჩია ქ მთელი დაურითა...

„პოლიტიკოსები ძირითადად უპროფესიო ან ხელმოცარული ადამიანები ბრძანდებიან. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც... პოლიტიკოსები, ქვეშეცნეულად საშუალო ან უფრო დაბალი გონებრივი შესაძლებლობების ადამიანები არიან (თუმცა ამაში საკუთარ თავსაც არ უტყვდებიან!), სამაგიეროდ, მათ ხელშია ძალაუფლება, რითაც საკუთარი ნაკლის გადაფარვას, უფრო ხშირად კი ამ ნაკლის ღირსებად წარმოჩენას ცდილობენ – მოჩვენებითი სიდარბაისლით, აგრესიულობით, შეუფერებელი ლაფბობით, ან სულაც „ბრძნული მდუმარებით“. გულახდილად უნდა ვაღიარო, აღარც მახსოვს მერამდენედ მომყავს ჩემს პუბლიკაციებში ჟურნალისტ თეიმურაზ ქორიძის ეს ციტატა, რადგან იგი ძალზე ლაკონიურად და ზუსტად გამოხატავს ზოგიერთი ოპოზიციური პარტიისა და მათი ლიდერების, ანუ ვთომ პოლიტიკოსების „ანატომიას“, რომელთაც თავიანთი არსებობით, ქვეყნისათვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვთ. მათი საქმიანობით მიყენებული ზიანის დონე და ხარისხი გაცილებით მაღალია, როცა ისინი საპარლამენტო ოპოზიციონერთა მანტიაში არიან გახვეულები. ზოგადი, უმისამართო ბრალდება რომ არ გამომივიდეს, ვიტყვი, რომ პირველ რიგში მხედველობაში მყვანან: ქრისტიან-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები და ახალი მემარჯვენები, რომელთა პარლამენტში საქმიანობის „წარმატებულობა“ ნათლად ჩანს თუნდაც ერთი მაგალითით, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით.

2008 წლის 20 თებერვალს, ანუ წინა საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“

გამოვაქვეყნე სტატია: „პრეზიდენტებს – მხოლოდ თანაბარი პირობები“, რომელშიც თეთრზე შავით ვწერდი: „საპარლამენტო არჩევნები კარს მოგვადგა, მიგვაჩნია, რომ, სამწუხაროდ, არც ამჟამად ვართ მზად არჩევნების ნორმალურ დონეზე ჩასატარებლად. მომავალში, ანალოგიური სიტუაციებიდან თავის დაღწევის მიზნით, თავს უფლებას ვაძლევ და განსასჯელად გთავაზობთ ერთ წინადადებას, რომლის რეალიზაცია არავითარ პრობლემასთან არ არის დაკავშირებული. ძალიან მოკლედ ამ წინადადების არსი იმაში მდგომარეობს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, ნებისმიერ სუბიექტს (ფიზიკურ პირს, პოლიტიკურ ორგანიზაციას) უნდა ჰქონდეს სააგიტაციო საშუალებებისა და სახელისუფლებო რესურსების გამოყენების თანაბარი პირობები. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილე ნებისმიერ სუბიექტს მათი ფინანსური, მატერიალური და სხვა რესურსების მიუხედავად, აეკრძალებათ ამ მიზნით, თუნდაც ერთი ლარის დახარჯვა. მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის უმკაცრესი კონტროლის პირობებში უნდა მოხდეს ნებისმიერი სახელისუფლებო რესურსებისა და ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების პროპორციული პრინციპით განაწილება და ხარჯვა“. დარწმუნებული გახლავართ, თითქმის ხუთი წლის წინათ გამოთქმულ ამ მოსაზრებაზე სათანადო რეაგირება რომ მოხდინათ ჩვენს ე. წ. პოლიტიკოსებს, დღეს სულ სხვა სიტუაციასთან გვექნებოდა საქმე.

ე. წ. პოლიტიკოსებო და ვითომ ოპოზიციონერო პარლამენტარებო! ამ დღეებში ერთი ვაი-უშველებელი რომ ატეხეთ, არიქა, გვიშველეთ, ხელისუფლებამ ნაციონალების სარეკლამო ბანერებით აავსო ქვეყანა; საზოგადოებრივი ტრანსპორტი გადააქცია თავიანთ სარეკლამო საშუალებებად; ხელისუფლება მილიონებს ხარჯავს წინასაარჩევნო კამპანიაში და ა. შ., აქამდე სად იყავით! არ იცოდით ასე რომ მოხდებოდა? იცოდით! იცოდით! და ყოველივე ეს თქვენივე ხელშეწყობით, თქვენი მამა-მარჩენალი ხელისუფლების

უვადოდ შესანარჩუნებლად და, რაც მთავარია, ნაღდი ოპოზიციური სუბიექტების გამოჩენის შემთხვევაში, ჯერ უნახავი და ჯერ არ სმენილი საშუალებების გამოყენებისთვის ემზადებოდით. დღეს მკერდზე ხელების მოჩვენებით ბრაგუნს აჯობებდა პარლამენტს დროულად მიეღო შესაბამისი საკანონმდებლო აქტები ზემოთ აღნიშნული თვითნებობების აღსაკვეთად. ახლა უკვე გვიანაა! „ახლა სხვისი დროა!“ ზუსტად თქვენზეა ნათქვამი – „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!“

## ანზორ ბაბუშაძია

P. S. ვისაც ამ პრობლემასთან დაკავშირებით პოლემიკის სურვილი გაუჩნდება, ვურჩევთ დამატებით გაეცნოს ჩემს პუბლიკაციებს: „არჩევნები, ო, ეს არჩევნები“; „სამჯერ წავიტეხეთ ფეხი, სამჯერ ვერ ავირჩიეთ რიგიანი პარლამენტი“; „ამ პროგრამით ტაძრამდე ვერ მივალთ“; „პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები – პოლიტიკოსობას“; „ნაციონალებს ხმას არ მივცემ“; „კიდევ ერთი მოკრძალებული თხოვნა პატრიარქს“; „სანამ შევიგნებთ, რომ ჩვენი ბედი ჩვენსავ ხელთაა!“, რომლებიც შესულია ჩემი პუბლიკაციების კრებულებში – „შეცდომა თუ დანაშაული?!“ მხოლოდ ამის შემდეგ, მზად ვარ, ნებისმიერი სატელევიზიო არხის პირდაპირი ეთერით, ერთი-ერთზე შევხვდე და პასუხი გავცე ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 18.09.2012

# უჩემი უკუ გარამხუნრა, თუ ჩიონიღვა!

მოქავშირისა და ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს,  
საქართველოს პარლამენტის მეწვე მოწვევის  
„უმცირესობის“წარმომადგენლებს

პატივცემულო მკითხველო, ამ წერილის კონკრეტული ადრესატების ნერვების მომშლელი ხშირი გამორჩებით თავი რომ არ მოგაბეზროთ, თქვენი ნებართვით, ქვემოთ, მათ მხოლოდ ერთი სიტყვით — „ყოფილებად“ მოვიხსენიებ.

მართლაც რომ, ყოფილებო, თქვენი საქმიანობის შედეგებზე და „მიღწევებზე“, ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი, რამაც ამ ღია წერილის გამოქვეყნება გადამაწყვეტინა, გახლავთ თქვენი ულირსი გამოხტომები კოალიცია „ქართული ოცნების“ სამოქმედო გეგმებისა და მიმართულებების აბუჩად ასაგდებად. თქვენ რომ სხვას ასწავლით სამოქმედო პროგრამის შედგენას, თქვენი საქმიანობის შედეგების არ გრუხენიათ? რომელი სერიოზული დაპირება შეუსრულეთ საქართველოს მოსახლეობას? ის მაინც თუ იცით, თქვენი არააღეკვატური ქცევებით, რა ფასისა და ღირებულების ტერიტორიები დაკარგეთ? რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეთ, ან ფიზიკურად გადარჩენის მიზნით, რამდენმა მიატოვა საკუთარი ოჯახი და სამშობლო?

კიდევ უამრავი უხერხული შეკითხვა გვაქვს, მაგრამ ამაზე სხვა დოროს.

თავიანთი საქმიანობის დაწყებამდე, ახალი ხელისუფლების სამოქმედო პროგრამას რომ აკრიტიკებთ, თქვენი მოღვაწეობის სტარტზე შედგენილი და გამოქვეყნებული ანალოგიური დოკუმენტი გამახსენდა, რომლის თაობაზე, საქართველოს მეწარმეთა კავ-

შირის სახელით, საქმაო მოცულობის მასალა გამოვაქვეყნე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, რომლის სათაური ასე უღერდა „ამ პროგრამით „ტაძრამდე“ ვერ მივალთ“.

თავს უფლებას მივცემ და კომენტარის გარეშე შეგახსენებთ მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს ამ სტატიიდან.

— „იგი (ანუ ეს პროგრამა) ძალზე შორსაა რაიმე კონკრეტული საპროგრამო მოთხოვნებისაგან. სამაგიეროდ, წარმოდგენილი დოკუმენტი ზომაზე მეტადაა დატვირთული ისეთი მომაბეზრებელი ტერმინებით, როგორებიცაა: გარდაქმნა, გაუმჯობესება, გაჯანსაღება, სრულყოფა, გაღრმავება და სხვა“.

— „საგაზეთო პუბლიკაცია საშუალებას არ იძლევა მთელი სიგრძესიგანით წარმოგაჩინოთ ამ დოკუმენტის „დაღებითი“ მხარეები, ამიტომ მათზე საუბარს სიამოვნებით გავაგრძელებთ ნებისმიერი ფორმატის სადისკუსიო შეკრების დროს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტის ავტორებს, მეწარმეთა ინტერესების დამცველ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ცივილიზაციული ფორმები რომ აერჩიათ, საქმეც მოიგებდა და ეს დოკუმენტიც. ზემოთ აღნიშნულ შეხვედრაზე ჩვენს მიერ განსახილველი რომელიმე თემა მოულოდნელი რომ არ აღმოჩენდეს ჩვენი მომავალი ოპონენტებისათვის, მათ ვთხოვთ, ჩვენთან საპატიოდ მოემზადონ შემდეგ საკითხებზე: რატომ დარჩა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სათანადო რეაგირების გარეშე პარლამენტის შესაბამისი ქვეკომიტეტის მოხსენებითი ბარათი თურქული კრედიტის თაობაზე? რატომ არ შესრულდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 20 დეკემბრის №9600 დავალების არც ერთი პუნქტი საგადასახადო სისტემის სრულყოფის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით? წარმოდგენილ დოკუმენტში რატომ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ჩვენს მიერ დამუშავებულ და პარლამენტში განსახილველად წარმოდგენილ მცირე მეწარმეობის განვითარების კონცეფციაზე?“

ამ თემასთან დაკავშირებულ ამ და სხვა პრობლემებზე თქვენ, ანუ „ყოფილებს“ თავის დროზე რომ მიგექციათ ყურადღება, „დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ 2012 წლის მონაცემე-

ბით, საქართველო მსოფლიოს 144 ქვეყანას შორის 131-ე „საამაყო“ ადგილზე არ აღმოჩნდებოდა კერძო საკუთრების დაცვის რეიტინგით; 141-ეზე – ანტიმონპოლიური პოლიტიკის ეფექტუანობით; 128-ეზე – სოფლის მეურნეობაზე დახარჯული საბიუჯეტო თანხის მოცულობით; 131-ეზე – ადგილობრივი პროდუქციის წარმოების მოცულობით; 126-ეზე – ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პუნქტით; 101-ეზე – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობით; 95-ეზე – სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობით; 114-ეზე განათლების სისტემის ხარისხით; 124-ეზე – მეცნიერებისა და ინჟინრების რაოდენობით; 115-ეზე – სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ეფექტუანობით; 95-ეზე – საბანკო კრედიტების ხელმისაწვდომობით.

„ყოფილებო“, ყოველივე ამის შემცურეთ, კიდევ გაქვთ მიღწეული შედეგებით ტრაბახის ან თავის მოწონების და სხვებისთვის ჭკუის დარიგების უფლება?

ბოლოს ერთი რჩება „ყოფილებს“. ისხედით მაგ თქვენს სამარცხვინო სავარძლებში და ხელს ნუ შეუშლით ქართული საქმეების საკეთებლად მისულ ახალ ხელისუფლებას.

**ანზორ ბაბუხაძია**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 30.10.2012

# როგორ მოელება ბოლო თქვენს ყელურაობასა და ბახახაბებს?!

ღია წერილი ქ. თბილისის მერს,  
ბატონ გიგი უგულაგას

როგორც დედაქალაქის პრობლემებში მეტ-ნაკლებად ჩახედულ-მა, ჯერ კიდევ 2010 წლის 18 ივნისს, პირადად თქვენ და დედა-ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ზაალ სამადაშვილს, მოგმართეთ კონკრეტული წინადადებებით (არა პირად საკითხებზე), წერილით №12-83535, რომელიც ეხებოდა დედაქალაქში არ-სებულ რამდენიმე პრობლემას და მათი გადაჭრის გზებს, რომელთა რეალიზაცია დაკავშირებული არ იყო რაიმე მნიშვნელოვან ხარჯებთან. წინადადებები შეეხებოდა ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: დედაქალაქში ეწ. გარევაჭრობა, სანიაღვრე კოლექტორები, ავტომანქანების პარკინგი, ფეხით მოსიარულეთა და ინვალიდებისა და საბავშვო ეტლების ვერგადაადგილება, ქართული ენის დაცვის ნორმების უგულვებელყოფა, ქალაქში ცხოვრების ელემენტარული წესების დაუცველობა, აუტანელი სანიტარული მდგომარეობა, თამბაქოს მოწევის შეზღუდვის ცივილური ნორმების დაცვა, საზოგადოებრივი ტუალეტების იგნორირება და სხვა.

სამწუხაროდ, არც ერთ პრობლემასთან დაკავშირებით, ჩემი მრავალი მცდელობის მიუხედავად, სრულყოფილი, საქმით დაინტერესებული პიროვნების პასუხი ვერ მივიღეთ. თავს უფლებას

ვაძლევ და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ სახელმწიფო დაწესებულებაში საქმის წარმოების ელემენტარულ წესს. როცა მოქალაქის წერილში ასახული პრობლემები კომპლექსურია და სხვადასხვა სამსახურს ეხება, მასზე პასუხიც კომპლექსური უნდა იყოს და ხელს უნდა აწერდეს არა რომელიმე ცალკეული სამსახურის უფროსის მოადგილე, არამედ, როგორც მინიმუმ ქალაქის მერის რომელიმე მოადგილე მაინც.

ამ მიმართებით, გამონაკლისი დაუშვა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარებ და 2010 წლის 26 ივლისს თავად მოგვწერა ერთობ საინტერესო პასუხი, რომელშიც ვკითხულობთ:

„საკრებულოში შექმნილი შესაბამისი კომისიები აუცილებლად გაცნობიან თქვენს წერილში გამოთქმულ მოსაზრებებს და გათვალისწინებენ თქვენს თვალსაზრისს ამა თუ იმ პრობლემაზე მუშაობისას. გარდა ამისა, ვაპირებთ საზოგადოებრივი საბჭოს გადახალისებას და გაფართოებას. საბჭოში მოვიწვევთ ჩვენი ქალაქის გულშემატკივარ, აქტიურ აღამიანებს, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს, ვისაც არც ცხოვრებისეული გამოცდილება აკლია და არც სურვილი, რომ ჩვენი ქალაქის პრობლემები დროულად მოგვარდეს. მოხარული ვიქნებით, თუკი მონაწილეობას მიიღებთ საბჭოს მუშაობაში და დაგვეხმარებით თბილისელთა ცხოვრების გაუმჯობესებაში. ამ საბჭოს მუშაობის განახლებისას პირადად დაგიკავშირდებით.

კიდევ ერთხელ გიხდით მაღლობას, რომ მზად ხართ ჩვენთან თანამშრომლობისთვის. იმედია, ერთობლივად გადავჭრით თბილისელთა პრობლემებს, რადგან გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“.

პასუხის მიღებიდან 2,5 წლის გასვლის მიუხედავად, თბილისის საკრებულოს ხელმძღვანელობას, თავისი დანაპირების შესასრულებლად, რომ იტყვიან, თითი-თითზე არ დაუკარებია. ალბათ სწორედ ასეთ კაცზე იტყოდა ხოლმე ცხონებული ბაბუაჩემი – პა-

ერისტიაო. სხვა კომენტარები, პატივცემულო მკითხველო თქვენ-თვის მოგვინდვია.

ზემოაღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2011 წლის 23 მარტი) გამოქვეყნდა ჩემი ვრცელი საუბარი ჟურნალისტ, ბატონ ოთარ ხუციშვილთან, რომელმაც თავის ინტერვიუს „ყურცევიტა ბიუროკრატები“ დაარქვა და დასძინა: „მკითხველი თავიდანვე რომ არ დამტკიცა და თბილისის მერიის თავკაცთათვის განწყობა ერთბაშად არ გამეფუჭებინა, წერილს „ალექსიანი“ სათაური – „ყურცევიტა ბიუროკრატები“ მივცი. რა თქმა უნდა შეიძლებოდა სხვა სახელის, ვთქვათ „გადემოკრატებული ბიუროკრატების“ ან „დემოკრატის უნიფორმაში გამოპარანჭული დემოკრატების“ დარქმევა, მაგრამ ვიცი „ყურცევიტობა“ უფრო ვამებოდათ. ისინი ხომ მართლაც ერთთავად „დაცევეტილები“ არიან, რომ დედაქალაქელთა გასაჭირიდან თუკი რაიმეს ყური მოკრეს ან ვინმემ რაიმე სიგნალი მიაწოდათ, ურეაგირებოდ და უპასუხოდ არ დატოვონ“.

ბატონო გიგი, ერთ ამონარიდსაც შეგახსენებთ ამ ინტერვიუდან და თუ თქვენი მერიბის პერიოდში მოასწრებთ სათანადო რეაგირებას, კარგი იქნება.

„მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის სანიტარულ დასუფთავებაზე უზარმაზარი ენერგია და რესურსები იხარჯება, თბილისი „სისუფთავის ქალაქის“ ნაცვლად, დღემდე მყარად ინარჩუნებს ბოლოდან სამარცხვინო პირველ ადგილს“. დედაქალაქი სანიტარული წესრიგის დამყარების ერთადერთ რეალურ გზად მესახება შესაბამისი სპეციალური პოლიციური სტრუქტურის ჩამოყალიბება. მისი სწორი და ეფექტური ფუნქციონირების პირობებში, სერიოზული საჯარიმო სანქციების შემოღებით, იგი საკუთარ თავსაც შეინახავს და დედაქალაქში საჭირო წესრიგსაც დაამყარებს“. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს მიერ შემოთავაზებული პოლიცია გაცილებით უფრო საჭირო საქმეს მოემსახურება, ვიდრე თქვენი და თქვენი

მსგავსი ვაისახელმწიფო მოხელეების უსაფრთხოების დაცვისათვის, თქვენს მიერვე, ახლახანს შექმნილი გაუგებარი და გაუმართლებელი, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეუთანხმებელი რაღაც პოლიციური სტრუქტურა.

ბატონო გიგი! დარწმუნებული გახლავართ, ნაწყენი ბრძანდებით ამ დღეებში გავრცელებული სამწუხარო, მაგრამ რეალური ინფორმაციით იმის თაობაზე, რომ თბილისი, საქალაქო მეურნეობის მოწყობის მთავარი მაჩვენებლების მიხედვით, მსოფლიოს 221 დედაქალაქს შორის სავალალო და სამარცხვინო 213-ე ადგილზე აღმოჩნდა. თუ ამ მაჩვენებლის რეალობაში ეჭვი გეპარებათ, არ დაგზარდებით და თქვენთან ერთად გავიაროთ თქვენთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს, თბილისის რომელ უბანშიც გნებავთ და დარწმუნდებით, რომ ყოველივე ეს სამწუხარო რეალობაა. ასეთ პირობებში, ამაზრზენია დედაქალაქის მერიის ერთ-ერთი მაღალ-ჩინოსნის უტიფარი განცხადება, რომ ზემოაღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით, თბილისი მსოფლიოს საუკეთესო ქალაქების პირველ სამეულში შედისო. ანალოგიური ბრახა-ბრუხი, ყველაზე მეტი სიმწვავით, გვარს არ დავასახელებ და ჩვენი „კოლმეურნეობის თავმჯდომარებ“ მაშინ იკადრა, როცა ბათუმი, შავი ზღვის აუზის ქვეყნებში, ყველაზე თბილ, ნაკლებ ნალექიან და ხანგრძლივი საკურორტო სეზონის ქალაქად გამოაცხადა.

მიგვაჩნია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები, სათანადო ძალისხმევისა და ქალაქის მეურნე ხელმძღვანელის პირობებში გამოსწორებადია. სამაგიეროდ, დედაქალაქის ხელმძღვანელობამ თქვენი მერიის პერიოდში, პირადად თქვენი დანაშაულებრივი უმოქმედობის გამო, გაცილებით როულად გამოსასწორებელი და-ნაშაულები ჩაიდინეთ! კონკრეტულად, საქმე შეეხება ქართული ენისადმი თქვენს მტრულ დამოკიდებულებას. მძიმე ბრალდებაა? დიახ, გეთანხმებით. ამიტომ „საბრალდებო დასკვნას“ ქვემოთ გაახლებთ.

თქვენ და თქვენმა ხელქვეითებმა წამოყენებული კონკრეტული ბრალდებების მიუხედავად, არავითარი რეაგირება არ მოახდინეთ ჩვენს სათანადო პუბლიკაციებზე.

თქვენი უმოქმედობის გამო დღდაქალაქში უხეშად ირღვევა საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“. კერძოდ, იგნორირებულია მისი შემდეგი მოთხოვნები:

– „რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე“ (მუხლი 4, პ. 2);

– „უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში...) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ ტრანსლიტერებულ ფორმას“ (მუხლი 4, პ. 3);

– „ორენოვანი მანათობელი წარწერების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა „ქართულიც და უცხოურიც“ იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი (მუხლი 4, პ. 4)“

კანონის მე-4 თავი (პუნქტი 17), რომელიც ეძღვნება სახელმწიფო კონტროლს რეკლამის სფეროში, ნათლადაა ჩაწერილი, რომ: „ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო ახორციელებს... რეკლამის კანონმდებლობის შესრულების სახელმწიფო კონტროლს; იღებს გადაწყვეტილებას არასათანადო რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შესრულებასა და კონტროლეკლამის განხორციელებაზე; უფლება აქვს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევს, კანონით დადგენილი წესით დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი; უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღმდერის თაობაზე; რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ეკონომიკური აგენტების მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნებით“.

განხილული კანონის მე-6 მუხლით, რომელიც გარე რეკლამის რეგულირებას ეხება, მკაფიოდაა ჩაწერილი, რომ „ამ მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები“. არ მეშინა, რა უნდა ჩაეწერა კანონპროექტის ავტორს კიდევ, რომ ზემოაღნიშნული კანონის ეს პუნქტები მკვდარშობილი არ ყოფილიყო?!

პრობლემისადმი კანონის ამგვარი დამოკიდებულების პირობებში, სერიოზული მცდელობის მიუხედავად, დედაქალაქის ადგილობრივი მმართველობის არც ერთი ორგანოს წლიურ ანგარიშში არ აღმოჩნდა არც ერთი ფაქტი, რომ ისინი სათანადოდ აკონტ-როლებენ და იცავენ ზემოაღნიშნული კანონის ძირითად მოთხოვნებს.

ვსარგებლობ შემთხვევით და ღია წერილის ფორმატის უპირატესობიდან გამომდინარე ვთხოვ ყველას, ვისაც ეხება ამ წერილში მოყვანილ ფაქტებზე რეაგირება, დაუყოვნებლივ იმოქმედოს კანონის სრული შესაბამისობით, რათა მომავალში მაინც დავიცვათ მოქალაქეთა ელემენტარული უფლებები, მივხედოთ ჩვენს დედაქალაქს და რაც მთავარია, „გადავარჩინოთ ჩვენი ენა ქართული“, რაც ქვეყნის გადარჩენის ყველაზე აუცილებელი წინაპირობაა.

## ანზორ გაბუხაძია

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 12.12.2012

# ქართული ენა შექმნას ითხოვს!

## ღია წერილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს  
ბატონ ლავით უსუფაშვილს  
საქართველოს იუსტიციის მინისტრს  
ქალბატონ თემა ფულუკიანს

პრობლემა, რომლის თაობაზეც ქვემოთ უნდა მოგახსენოთ, არა-ხალია და რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ამ მი-მართებით, დიდად სამწუხაროდ, მდგომარეობა დღითი დღე უარეს-დება და „ჩვენი, ენა ქართული“ კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

საგაზითო წერილის ფორმატიდან გამომდინარე, ამჟამად ამ მი-მართებით, დეტალებზე თქვენს ყურადღებას ვერ შევაჩერებთ და ამიტომ გაგაცნობთ მრავალთაგან მხოლოდ ჩვენი რამდენიმე სტა-ტიის სათაურს და კონკრეტულ წინადადებას: „გადავარჩინოთ ქარ-თული ენა“ („საერთო გაზითი“, 08.04.09), „ვაითუ ჩვენი ენა ქართული ისტორიის კუთვნილება გახდეს“ („საქართველოს რეს-პუბლიკა“, 14.01.10), „დადასტურებული უტყუარი ფაქტები საბ-რალდებო დასკვნისათვის“ („საერთო გაზითი“, 11-17 იანვარი, 2012 წ.), „როდის მოედება ბოლო თქვენს ყელყელაობას და ბრა-ხაბრუხს?!“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 12.12.12). ჩამოთვლი-ლი წერილების კონკრეტული ადრესატები იყვნენ საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, პარლამენ-ტარები გოკა გაბაშვილი და ხათუნა ოჩიაური, თბილისის მერიის ხელმძღვანელობა და სხვა ჩინოვნიკები, რომელთაც, რომ იტყვი-ან, თითო-თითზე არ დააკარეს, ყურადღება არ მიაქციეს ამ წერი-

ლებით პირადად მათი მისამართით წაყენებულ კონკრეტულ ბრალ-დებებს და ჩაიდინეს დანაშაულებრივი უმოქმედობანი საქართველოს კანონების მოთხოვნების უგულებელყოფის თვალსაზრისით.

მიგვაჩნია, რომ გამოთქმული პრეტენზიები სერიოზულია და, აქედან გამომდინარე, გთხოვთ, პირადად გამონახოთ დრო და გამოიყენოთ ისტორიული შანსი ქართული ენის გადარჩნის პრობლემების მოსაგვარებლად.

ბატონო დავით, ქალბატონო თეა,

შეგახსენებთ, რომ კომუნისტების დროს, ქართული ენის გადარჩნაზე ზრუნვა და ძალისხმევა შედიოდა უშუალოდ საქართველოს მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარეების უფლება-მოვალეობებში. სწორედ პრობლემებისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო, არამარტო გადარჩა, არამედ ყველა თავისი პარამეტრით აღორძინდა ქართული ენა. დამოკიდებულ საქართველოში კი, ქართული ენა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

თქვენი სურვილის შემთხვევაში, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას თქვენს დონეზე ამ პრობლემის განხილვასა და სათანადო მუშა ჯგუფებთან ერთად, შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებაში.

პატივისცემით  
ანზორ ბაბუხალია

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 11.01.2013

# გთხვა ჭიბით ბუქმიერი „ფოტოსინალუფეს“ აღდგნას

დედაქალაქში, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, განსაკუთრებით სამარცხვინო მდგომარეობაა ქართული ენის ნორმებისა და სანიტარიული მდგომარეობის დაცვის თვალსაზრისით, რაც განაპირობა თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურების დანაშაულებრივმა და არაადეკვატურმა დამოკიდებულებამ თავიანთი საქმიანობისადმი. ამ შემთხვევაში, პატივცემული მკითხველის ყურადღებას კონკრეტულ ფაქტებზე აღარ შევაჩერებ, რადგან მათ შესახებ, არაერთხელ გავამახვილე მერიის ე.წ. ხელმძღვანელთა ყურადღება ჩემს პუბლიკაციებში, მაგრამ ვერავითარ შედეგს (თუნდაც ფორმალურ პასუხს, ტელეფონის ზარს და ა.შ.) რომ ვერ მივაღწიე, ბოლო წერილით თბილისის „პატივცემულ“ მერს შევთავაზე: „გთხოვთ გამონახოთ 2-3 საათით თავისუფალი დრო და ფეხით, ერთად გავიაროთ თბილისის რამდენიმე ქუჩაში... სადაც თქვენს ყურადღებას მივაქცევ ქართული ენის აბუჩად ამგდებ უკანონო სარეკლამო აბრებს და ქუჩების, სკვერების, სადარბაზოების, შიგა ეზოების გაუსაძლის სანიტარიულ მდგომარეობას.

რომ იტყვიან, მართლაც შეაყრე კედელს ცერცვი! იმის გამო, რომ მოსახლეობისა და მერიის „ხელმძღვანელობის“ ტრადიციული ურთიერთობის ფორმები აღარ ჭრის, გთვაზობთ ერთ ინიციატივას, რომელიც, დარწმუნებული გახლავართ, სასიკეთოდ წაადგება ზემოთ აღნიშნული უმწვავესი პრობლემის მოგვარებას. კერ-

ძოდ, იქნებ განიხილოთ გაზეთში სპეციალური რუბრიკის „ფოტობრალდების“ აღდგენის შესაძლებლობა, სადაც ისისტემატურად განთავსდება სხვადასხვა ავტორთა მიერ მოწოდებული ფოტოები დადაქალაქიში ამ მიმართულებით არსებულ მდგომარეობაზე. ამის შემდეგ კვარტალში ერთხელ, გაზეთის საკონკურსო ჟიური გამოავლენს გამარჯვებულ ფოტომასალას, რომელთა ავტორები დასაჩუქრდებან სხვადასხვა ფორმით.

სასურველია „სრ“-ის მეშვეობით გაკეთდეს სპეციალური განცხადება, რომელიც უზრუნველყოფს ამ ინიციატივის ხორცულებას.

თუ რედაქცია საჭიროდ და გამართლებულად ჩათვლის, მზადვარ, მონაწილეობა მივიღო ამ სასიკეთო ღონისძიებაში, ნებისმიერ ეტაპზე.

პატივისცემით  
ანზორ ბაბუშეაღია

P. S. თბილისის მერს, ჩემს მიერ გამოთქმული ზოგიერთი შეფასების მიმართ გარკვეული პროტესტი თუ გაუჩნდება, სიამოვნებით შევხვდები რედაქციაში, მრგვალი მაგიდის ფორმატით და დანარჩენს უფრო კონკრეტულად და დაწვრილებით პირადად მოვახსენებ.

ა. ბ.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 13.04.2013

# ეს ხუთი უძრავი მომხერხ გონიერობა თუ მომხერხ „მყენელი“?

კარგა ხნის შესვენების შემდეგ, გადავწყვიტე კვლავ გავსა-  
უბრებოდი ცნობილ ეკონომისტსა და პუბლიცისტს ანზორ ბა-  
ბუხაძიას, რომელთანაც 30-წლიანი საქმიანი და მეგობრული  
ურთიერთობა მაკავშირებს. იგი ბევრი სხვა მოღვაწისაგან  
იმით გამოირჩევა, რომ თავად ხელისუფლებაში ყოფნის პერი-  
ოდშიც კი ახერხებდა ყოფილიყო პრინციპული, მნვავე სიმარ-  
თლე მიუკიბ-მოუკიბავად, რომ იტყვიან, „პირში ეთქვა“ თავი-  
სი კოლეგებისათვის, ანუ ხელისუფლების უმაღლესი ეშელო-  
ნის ნარმომადგენლებისათვის. ახლაც მახსოვს, ქვეყნის მა-  
შინდელ პრეზიდენტს, მთავრობის სხდომაზე კადრების შერ-  
ჩევის საქმეში დაშვებული შეცდომების შესახებ რომ უსაყვე-  
დურა და ნათქვამში ეჭვი რომ არავის შეპარვოდა, ნინ კონკ-  
რეტული ფაქტებიც დაუდო. სწორედ მისმა ასეთმა პირდაპი-  
რობამ და ობიექტურობამ გადამაწყვეტინა ბატონ ანზორისთ-  
ვის ქვეყნის ცხოვრების აქტუალობიდან გამომდინარე რამდე-  
ნიმე შეკითხვით მიმემართა.

— ბატონო ანზორ, რა დასამალია, ახალი ხელისუფლება, რო-  
მელიც ხმაურიანი და ამბიციური დაპირებებით მოვიდა ქვეყნის სა-  
თავეში, თანდათან სულ უფრო მეტ კრიტიკას იმსახურებს. სამ-  
წუხაროდ, საზოგადოების საქმაოდ დიდ ნაწილში, კვლავ გაჩნდა  
ნიპილისტური დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ  
დღევანდელი ხელისუფლება არ ან ვერ ასრულებს ნაკისრ ვალ-  
დებულებებს. ამათგან ყველაზე აქტუალურია დაპირებული სამარ-

თლიანობის აღდგენის გაწელვა, ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში ჩადენილი დანაშაულობებისთვის სააკაშვილის ხელისუფლების ლიდერების დაუსჯელობა. ამის გამო საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილი უქმაყოფილებას გელაცი კი მაღავს: რას ელოლიავებიან ამ ნაძირალებს, 5-6 თავგასული „ფიგურისთვის“ მაშინვე ამოერტყათ პანჩური, შეეყარათ სადაც ჯერ არს და დანარჩენებიც ისწავლიდნენ ჭკუსო. დავიწყოთ ამ თემით და დანარჩენს „საქმე გვიჩვენებს“

— გეტყვით პირდაპირ, კადრების შერჩევაში, უცოდველი, სხვებთან ერთად, არც ეს ახალი ხელისუფლება აღმოჩნდა. დეტალებზე საუბრის დრო და ადგილი, აღბათ, არ გვექნება, რადგან ისეთი ფართომასშტაბიანი შეკითხვა დასვით, რომ არც ვიცი რითი დავიწყო. ერთ რამეს მოჭრით გეტყვით, ჩვენი დღევანდველი „თვეზის თავი“ ჯანმრთელია და რუსულ ნათქვაშს თუ გამოვიყენებთ, მისი აყროლება-აქოთების წინაპირობა არ არსებობს!“.

— თუ ასეა, მაშინ იქნებ აგვისტინათ, ხელისუფლება რატომ „ბუქსაობს“?

— საქმე ის გახლავთ, რომ ხელისუფლებაში მარტო მისი პირველი პირები არ იგულისხმებიან. რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს უზარმაზარ სახელმწიფო აპარატთან, რომელიც ისეა დაავადებული, რომ მის განკურნებას სერიოზული სისტემური „მკურნალობა“ სჭირდება. არ გაგიკვირდეთ თუ ვიტყვი, რომ ამ მიმართულებით, ძველი, საბჭოური სახელმწიფო აპარატის გამოცდილებიდან ზოგი დადგებითი მომენტის გათვალისწინება არ გვაწყენდა. მე პირადად, დანაშაულად მეჩვენება სახელმწიფო დაწესებულებაში მოსახლეობის მიღების ინსტიტუტის გაუქმება, მათი შენიშვნებისა და წინადადებების იგნორირება, ხალხის მიერ არჩეული ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში გაუგონარი გაძლიერებული დაცვის აპარატისა და საშვების სისტემის შემოღება და ა. შ.

— დარწმუნებული ვარ, ასეთ დასკვნებს არ გააკეთებდით, ხელთ სერიოზული კონკრეტული მაგალითები რომ არ გქონდეთ.

— რა თქმა უნდა, ახალი ხელისუფლების ყოველდღიურ საქმი-ანობაში იმდენ კონკრეტულ ნაკლოვანებებს ვაწყდებით, რომ მათი ჩამოთვლა, ალბათ, შეუძლებელია. ჩემი შეხედულებით, კოალიციაში გამორჩეული პერსონებიც არიან, მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. მაგრამ იმავე პარლამენტისა და იუსტიციის სამინისტროს აპარატის ცალკეული სამსახურები და მუშაკები, მოვალეობის შესრულებისას, ნებსით თუ უნდღიერ, ისეთ უხეშ შეცდომებს უშვებენ, რომ მათზე დეტალურ საუბარს და საქვეყნოდ თავის მოჭრას, პირველ რიგში საკუთარ თავს არ ვკადრებ. ალბათ, კიდევ მომეცემა დასახელებულ ხელმძღვანელებთან პირისპირ შეხვედრის საშულება და ამ დეტალებზე პირადად ჩავაყენებ საქმის კურსში, როგორც ბატონ დავითს, ისე ქალბატონ თუასაც.

— ბატონო ანზორ, ალბათ, შეამჩნევდით, ბოლო პერიოდში საზოგადოების ერთ ნაწილში აშკარად გამოიკვეთა არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება „რესპუბლიკური პარტიისადმი“, რასაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთგვარი დისონანსი შეაქვს. მით უმეტეს, რომ ამ პარტიის თავმჯდომარე თქვენგან მოწონებული საქართველოს პარლამენტის სპიკერია.

— ნებისმიერ პიროვნებას აქვს უფლება თავისი დამოკიდებულება პქონდეს ამა თუ იმ პარტიისა თუ ინსტიტუტისადმი, მაგრამ ერთი ხელის მოსმით, ყველასათვის ერთი და იგივე „რეცეპტის“ გამოწერა არავითარ შემთხვევაში არ მიმაჩნია გამართლებულად. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ეპიზოდი, როცა ერთ-ერთმა „გამორჩეულმა“ პიროვნებამ, ცნობილი უურნალის ფურცლებიდან საქვეყნოდ განაცხადა, რომ „საერთოდ ვერ იტანს ჩოხოსნებს“. მეორე დღესვე რა პასუხიც გავეცი იმ არაკაცს, თქვენი გაზეთის მეშვეობით, ეს ქვეყანამ გაიგო და, რა თქმა უნდა, ამაზე ახლა აღარ შევჩერდები.

— ჩვენს ამ მოკლე საუბარში, რომ იტყვიან, სტრიქონებს შორის გამოიკვეთა თქვენი სიმპათიები პარლამენტის დღევანდელი თავმჯდომარის მისამართით. მიუკერძოებლად თუ განვსჯით, პირა-

დად მისდამი იგივე დამოკიდებულება გააჩნია დღევანდელ საღად მოაზროვნე საზოგადოების დიდ ნაწილს და პირადად მეც, თუმცა მეჩვენება, რომ იგი საკვანძო საკითხების გადაწყვეტისას ზომაზე მეტად ფრთხილობს და ამით საერთო საქმე როგორდაც ზარალდება.

— გეთანხმებით, გარედან მართლაც ასე ჩანს, მაგრამ რეალურად, ამ ეტაპზე მიმაჩნია, რომ ასეა საჭირო. მქონდა პატივი, ამ რამდენიმე დღის წინათ საზოგადოება „ერთსულოვნების“ წევრთა მცირე ჯგუფთან ერთად, თავის სამუშაო კაბინეტში, პირადად შევხვედროდი ბატონ დავით უსუფაშვილს. შეხვედრაზე (დახურული ფორმატით), რომელიც ოთხ საათს გაგრძელდა, საუბარი შეეხო ქვეყანაში მიმდინარე თითქმის ყველა მტკიცნეულ პრობლემას. არც უფლება მაქს და არც საშუალება, დეტალურად გაგაცნოთ ჩვენი საუბრის ყველა თემა, თუმცა, მოკლედ გეტყვით, რომ ასეთი გაწონასწორებული, საღად მოაზროვნე, საქმეში ღრმად ჩახედული პიროვნება იშვიათად შემხვედრია. აქედან გამომდინარე, მის მიმართ განსაკუთრებული ნდობა და პატივისცემა მაიძულებს და მავალდებულებს დინჯად დაველოდო მიმდინარე პროცესებს, რადგან დაგვარწმუნა, რომ თანდათან ყველაფერი კარგად იქნება.

— ბატონო ანზორ, მართალია ნელა, ჭანჯვით, მაგრამ მაინც გვიახლოვდება ოქტომბერი. რამდენიმე თვეში გვეყოლება ასალი პრეზიდენტი და ქვეყნა თავისუფლად ამოისუნთქავს. თქვენი აზრით, ამით ქვეყნის ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვნად შეიცვლება? კულუარებში და პრესაში პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატის გვარმა უკვე „გაიუღერა“. არ გამოვრიცხავ, თქვენც გქონდეთ თქვენი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი.

— გურულს პკითხეს — რავაა ქვეყნის საქმეო, არაა მაი ჩემი საქმეო, იყო პასუხი. არ ეშვება გურულს საქმით დაინტერესებული ეს კაცი და ახლა ისევ შეუტრიალა კითხვა — მაშინ მითხარი, რავაა შენი საქმეო. არაა მაი შენი საქმეო, მოკლედ მოუგო გურულმა. ამ შეკითხვაზე გურულის დამოკიდებულება არასერიოზულია, მაგრამ ზოგადად მაინც გეტყვით, რომ „გაუღერებული“

კანდიდატურებიდან ერთ-ერთი მათგანი, ყველაზე ახალგაზრდა, არ მემეტება ფრთხებშეჭრილი, ანუ ნახევრად უფლებააყრილი პრეზი-დენტის სავარძლისთვის. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე, ამ თე-მას დღიდი ხმაური და აუიოტაჟი, ალბათ, არ სჭირდება.

— ბატონო ანზორ, ასევა თუ ისე, თქვენგან გარკვეულ საკითხებ-ზე პასუხი მივიღე, მაგრამ გულახდილად გეტყვით, დაუკმაყოფი-ლებლობის გრძნობა მრჩება იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენე-ბურად, მკაფიოდ ან არ, ან ვერ ახსენით ხელისუფლების „ბუქსა-ობის“ მიზეზები. არადა საზოგადოებას ყველაზე მეტად სწორედ ეს საკითხი აინტერესებს.

— კი ბატონო, რახან მაიძულებთ „მოვხსნა გუდას თავი“, დაკ-ვირვებული მკითხველისთვის გასაგებად, მხოლოდ ორ მინიშნებას გავაკეთებ, რაც, ალბათ, საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ზოგი-ერთებმა გული მოიფხანონ და „შემაქო“ ნებისმიერი ეპითეტებით. უფრო მეტიც, ვინმემ ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩემთან, ღია ეთერში, დებატების გამართვა რომ მოინდომოს, არ დავთანხმდე-ბი, რადგან მეტს მაინც არ ვიტყვი და არავის არ ვათქმევინებ, რომ დამამარცხა.

თუმცა სათქმელს მინიშნებით მაინც ერთგვარად დავაზუსტებ. საქ-მე ის გახლავთ, რომ დასავლეთი დაინტერესებულია დაიცვას თავი-სი პროექტი და „დემოკრატის შუქურას“, როგორმე, ოქტომბრამდე ცოცხალ-მკვდარს მაინც მიატანინოს თავი; ჩვენი „კეთილგანწყობილი“ უახლოესი მეზობლები აუცილებლად უნდა გრძნობდნენ ჩვენდამი და-სავლეთის მხარდაჭერას, რათა შეასუსტონ, გააფერმკრთალონ თავი-ანთი საოცნებო ზრახვები საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნე-ლოვნ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ერთი სიტყვით „ტერიტო-რია“ ჰქვია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანას, თავისი ის-ტორიის მანძილზე, ბევრი სიძნეელე გადაუტანია და მრავალთა ჯინა-ზე, ოქტომბრამდეც მშვიდობიანად უნდა მივიღეთ.

ესაუბრა  
ოთარ ეუფიშვილი

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 19.04.2013

# „ნებისმიერი პოლიციური პატივის ხადისხობის ნხერობის იური ბოლქვირაზ რაფინაციის ნებისმიერი კან“

გვესაუბრება ეკონომისტი და  
პუბლიცისტი ბატონი ანზორ ბაბუაძია

— ბატონი ანზორ, მართალია პოლიტიკოსი არ ბრძანდებით, მაგრამ თქვენი პუბლიკაციებით ხშირად ეხმაიანებით ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ პროცესებს, ერთ-ერთ თქვენს აღრინდელ პუბლიკაციაში ამბობდით, რომ პოლიტიკოსები, ქვეშეცნულად საშუალო ან უფრო დაბალი გონიერივი შესაძლებლობების აღამიანები არიან (თუნდაც ამაში საკუთარ თავსაც არ უტყვიდიან!). სამაგიეროდ, მათ ხელშია ძალაუფლება, რითაც საკუთარი ნაკლის გადაფარვას, უფრო ხშირად კი ამ ნაკლის ღირსებად წარმოჩენას ცდილობენ — მოჩვენებითი სიდარბაისლით, აგრესიულობით, შეუფერებელი ლაფბობით, ან სულაც „ბრძნული მდუმარებით“...

— დავიწყებ იმით, რომ თქვენგან მოხმობილი ამონარიდი მე არ მეკუთვნის, თუმცა მის პათოსს ახლაც სრულად ვიზიარებ. რაც შეეხება პოლიტიკურ პრობლემებზე საუბარს, წინასწარ გეტყვით, რომ ვიქები აბსოლუტურად მიუკერძოებელი და ობიექტური, რადგან კაცი მხოლოდ მაშინ არის მართალი, როდესაც ამბობს იმას, რასაც ფიქრობს.

— იქნებ დაგვიკონკრეტო პოლიტიკური პარტიებისადმი თქვენი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი და ისიც გვითხრათ, ყველა პოლიტიკურ პარტიას ეხება ეს, მათ უმეტესობას თუ მხოლოდ ზოგიერთს?

— რა თქმა უნდა, ეხება უმეტესობას, რომლებშიც ვერ შევიყვან იმ რამდენიმე პარტიას, რომელთაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი და ავტორიტეტიანი პიროვნებები და, რა თქმა უნდა, სახალხო კრებისა და ეროვნული ფორუმის ხელმძღვანელ ბირთვს.

2011 წლის 4 ივნისს თქვენსავე გაზეთში გამოვაქვეყნე ვრცელი ინტერვიუ სათაურით – „...ან აღვიგვებით მიწისაგან პირისა როგორც ერი!“, რომელშიც საუბარი იყო პარლამენტში მოსახვედრად პარტიულ სიებში გამსვლელი ადგილის მოპოვებისთვის ქრთამის გადახდის დამკვიდრებულ წესზე; ე.წ. გრანტიჭამია პოლიტიკურ პარტიებსა და არა-სამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც ხშირად გამოყოფილ თანხებს იყენებენ ქვეყნის დასაქცევად შემუშავებული პროგრამების განხორციელებისათვის და წურბელებისთვით სწოვენ სისხლს ქვეყნის გასაცოდავებულ ბიუჯეტს; „ახალგაზრდა ნაციონალების“, „ახალგაზრდა ქრისტიან – დემოკრატების“, „ახალგაზრდა ეროვნული დემოკრატების“ და სხვა „ინსტიტუტების“ საქმიანობაზე; კონსტიტუციასა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე იმ ვარაუდით, რომ მომავალში საერთოდ უარი ვთქვათ ეწ. პროპორციული არჩევნების მოქმედ სისტემაზე და ა.შ.

– ასეთი რადიკალური შეფასებებისა და წინადაღებების მიუხედავად, ჩვენი გაზეთისათვის არავის არანაირი საპროტესტო წერილით, ან თუნ-დაც ტელეფონით არ მოუმართავს. თქვენ, ხომ არავის „აუკლინხართ“.

– სამწუხაოდ, ყველაფერმა სიჩუმისა და ინდიფერენტული დამოკიდებულების ვითარებაში ჩაიარა, რისი მიზეზის ახსნის დრო და მომენტი ახლა რომ გვქონდეს, კარგი იქნება.

– დაგუბრუნდეთ ცხელ თემას. გასულ კვირაში, პოლიტიკურ პარტიათა გარევეულმა ნაწილმა გააპროტესტა პარლამენტის განზრახვა, ცვლილებები შეიტანოს პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების წესებში. მათი მტკიცებით, ასეთ შემთხვევაში, ფინანსური თვალსაზრისით, სასათბურე პირობები შეექმნება მხოლოდ რამდენიმე პარტიის, დანარჩენები კი, დაუფინანსებლობის გამო, ჩაიძირებიან. როგორია თქვენი პოზიცია?

– ყველაზე მოკლე და გასაგები პოზიცია ის გახლავთ, რომ პარლამენტმა იჩქარა, უფრო ზუსტად, წინასწარ ვერ გათვალა მოსალოდნელი შედეგები. ამის დასტური გახლავთ ის, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ პრაქტიკულად უკან დაიხია და ბრძნა, ამ საკითხზე მოგვიანებით ვიმსჯელებთო. მივესალმები, თუ საქართველოს პარლამენტი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად დააყენებს საკითხს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ნებისმიერი საქმიანობის დაფინანსების აკრძალვის თაობაზე, რასაც, დარწმუნებული ვარ, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიამოვნებით დაუჭერს მხარს.

— კი, მაგრამ ეს ხომ ავტომატურად გამოიწვევს ე.წ. პოლიტიკურ პარტიათა ასოლუტური უმრავლესობის საქმიანობის შეწყვეტას?

— ვფიქრობ, რომ შემოთავაზებული წინადაღების რეალიზაცია ნამდვილად სასიკეთოდ წაადგება თითოეულ ჩვენგანს და, საერთოდ, ქვეყანას. ამ თემის ირგვლივ აჟიოტაჟის ატენგის შემთხვევაში, მზად ვარ, თანაბარ პირობებში, ნებისმიერი ფორმატით მივიღო მონაცილეობა ამ საკითხის განხილვაში. ღმერთმა ქნას, რომ გამოჩნდეს ქვეყნისთვის უფრო მისაღები და სასარგებლო გზა!

— და ერთი შეკითხვაც. როგორია თქვენი აზრი ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფენომენზე? საზოგადოებაში ხომ არ გაჩნდა მისდამი ნიპილისტური დამოგიღებულება, ანუ შეპირებული ვალდებულებების შეუსრებლობის მოლოდინი?

— ბატონ ბიძინა ივანიშვილს, უკვე მხოლოდ ორი ფაქტორით აქვს გარანტირებული ქვეყნის ისტორიაში შესვლა. მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია ისეთი პიროვნებები, რომლებმაც თავისი საკუთარი ქონება ასე უშურველად და უხმაუროდ მოახმარა თავის ქვეყანას. ეს ერთი. მისი მეორე და, ალბათ, არანაკლები მნიშვნელობის დამსახურება გახლავთ ის, რომ მან საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ჩაატარა ურთულესი უსისხლო თპერაცია და ქვეყანა იჩნევა ბოლო სტადიის ავთვისებიანი სიმსივნისგან. მიუხედავად ამისა, ბოლო დროს, აქა-იქ მართლაც შეიძინება „ქართული ოცნებისადმი“ ნიპილისტური დამოკიდებულება, მაგრამ ღრმად მწამს, რომ მისი ლიდერის მიერ საკადრო პოლიტიკის დაწვერისა და მოსახლეობასთან პირადი კონტაქტების გაუმჯობესების კვალობაზე, თითოეული ჩვენგანის თავდადების შემთხვევაში, ბატონი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს დააყენებს სწორ, თითოეული ჩვენგანისთვის სანატრელ გზაზე.

— ღმერთმა გისმინო!

ესაუბრა  
მაშუპა ვაშაპიძე  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 24.07.2013

## ლია წერილი

# ს ხ ე ა  ს ა ქ ა ჩ თ ვ კ ლ ო ს ა დ  ა ჩ ი ს ? !

ანუ რა უნდა ეჭოდოს ჩვენს  
ქვეყანას მსოფლიოს ყველა ენაზე!

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა იგანეშვილს  
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს  
საქართველოს იუსტიციის მინისტრს თიმა ჭულუკიანს

მთავარ სათქმელზე გადასვლამდე, თავს უფლებას ვაძლევ, უპ-  
რეტენზიო მოსაზრება გამოვთქვა ჩვენი ქვეყნის ისტორიული სა-  
ხელწოდებების თაობაზე. თანაც, როგორც ერთი რიგითი ეკონო-  
მისტი, წინასწარ ვთხოვ პატიებას ყველას იმ შესაძლო უზუსტო-  
ბებისთვის ამ მსჯელობისას რომ შეიძლება დავუშვა.

ისტორიული თვალსაზრისით, ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია იწყება „კოლხეთის“ სამეფოს („ეგრისის სამეფოს“ ეპო-  
ქით (ძვ.წ. XVI-XV საუკუნეები). ამასთან, არსებობის სრული  
უფლება აქვს ვერსიას, რომ საქართველოს გაცილებით ადრეულ  
ეპოქაში „იბერია“ ერქვა (ძვ.წ. IV-III საუკუნეები) და თავისი ის-  
ტორიის ხანგრძლივობით განსაკუთრებული ადგილი უკავია მსოფ-  
ლიოს უძველეს სახელმწიფოთა შორის. უფრო მეტიც, მეცნიერ-  
თა გარეკეული ნაწილის აზრით, მსოფლიოში ადამიანთა მოდგმის  
გავრცელების მთავარი კერა კავკასიაა, საიდანაც გაითანაზნებ  
ისი-  
ნი მთელს ევროპასა და ამერიკაშიც. ძველი წელთაღრიცხვის VI  
საუკუნიდან, ჩვენს ქვეყანას, „კოლხეთის“ სამეფოს ნაცვლად, „ეგ-

რისის სამეფო დაერქვა, რომლის ტერიტორიაზე, მის აღმოსავლეთ ნაწილში გაჩნდნენ დამოუკიდებელი „იძერისა“ (დღევანდელი ქართლ-კახეთი) და „ალბანეთის“ (დღევანდელი აზერბაიჯანი) სამეფოები. მხოლოდ 15 საუკუნის შემდეგ, ანუ XI საუკუნეში გაერთიანდა „იძერისა“ და „ეგრისის“ სამეფოები ერთ ქვეყნად და მას „საქართველო“ ეწოდა. იგი თავის შემადგენლობაში, „ლაზეთ-ჭანეთისა“ და „ჰერეთის“ ჩათვლით, 25 ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს აერთიანებდა.

ჩვენი ქვეყნის – საქართველოს სახელწოდების თემასთან დაკავშირებით, ჩვენზე გაცილებით ადრე, უფრო კომპეტენტურად, სხვებსაც გამოუთქვამთ თავიანთი მოსაზრებები, რომ დღევანდელ საქართველოს დაერქვას მისი რომელიმე ისტორიული სახელი („იძერია“, „ეგრისი“, „კოლხეთი“ და ა.შ.), რაც ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია. ამ პრობლემების დეტალურ განხილვას და საკუთარი პოზიციების დასაბუთებას, რა თქმა უნდა, მთლიანად ეს გაზეთიც არ ყოფილი და ამიტომ მასზე მსჯელობა, დროებით უნდა გადავდოთ.

ახლა კი მთავარი სათქმელი: ღმერთმა არ ქნას, მაგრამ თუ გარკვეულ საუციალისტებს და, მათ შორის, დემორაფებს დაკუჯვრებოთ, XXII საუკუნეში აღარც ქართველები ვიქენებით ამ პლანეტაზე და აღარც საქართველო შემორჩება მსოფლიო რუკაზე. რა თქმა უნდა, ამ ვერსიის მე არ მჯერა, მაგრამ, რადგან ნებისმიერ ვერსიას აქვს არსებობის უფლება, განვაშის ზარები უნდა დავარისხოთ ყველამ და შევევიბროთ ერთმანეთს ქართული საქმეების კონკრეტურაში.

უპირველესი, რაც სასწრაფოდ უნდა გადაწყვდეს, არის ქართული ენის სახელმწიფო პალატის აღდგენა. ვინც ამ თემასთან დაკავშირებით წინააღმდეგობას გაბედავს და ბიუჯეტის პრობლემებსა და სათანადო ასიგნების უქონლობას მოიმიზეზებს „მას ქართველმა ხალხმა საკადრისი უნდა მიუზღოს (საჭიროების შემთხვევაში კონკრეტულ წყაროს მე დავუსახელებ).

მეორე, შედარებით რთულ, მაგრამ აბსოლუტურად გადაწყვეტად საკითხად (პრობლემას შეგნებულად არ ვუწოდებ) მესახება

ის, რომ მსოფლიო რუკაზე, რა ენაზეც არ უნდა იყოს ის შედგენილი, საქართველოსთან მიმართებაში დამკვიდრდეს ერთადერთი საკუთარი სახელი — საქართველო.

მოგეხსენებათ, რომ მსოფლიოს ქვეყნების ღიღ უძრავლესობას, ყველა ენაზე ერთი, ანუ თავისი საკუთარი სახელწოდება აქვს. საქართველო კი, მსოფლიოს ეს უძველესი ქვეყანა, ამ თვალსაზრისთაც იშვიათი გამონაკლისია, რადგან ჩვენს ქვეყანას ყველამ თავისთვის მოსახერხებელი სახელი დაარქვა.

დადგა დრო, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნას კომპეტენტური სახელმწიფო კომისია, რომელიც სათანადო სამუშაოების ჩატარების კვალობაზე მიაღწევს, რომ ჩვენს ქვეყანას, მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო“!

„საქართველოს“, „ქართულის“, „ქართველის“ გადარჩენის სხვა უამრავი პრობლემა არსებობს, რომელთა ირგვლივ, საბედნიეროდ ბევრ ქართველ მოღვაწეს აქვს გამოთქმული თავისი მოსაზრებები და კონკრეტული წინადადებები. გვჯერა, რომ დღევნდელი ხელისუფლების მოქმედი და მომავალში ამ მიზნით შესაქმნელი სტრუქტურები უფრადღებოდ არ დატოვებენ ამ საგანძურს და ყოველ ღონეს იხმარენ ზემოთ აღნიშნული სამი ფუნდამენტური ცნების გადასარჩენად.

პატივისცემით,  
ანზორ ბაბუშადია

P.S. საბჭოთა პერიოდში, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, როგორც წესი, იმავდროულად, ქართული ენის დაცვისა და ნორმების დადგენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე იყო.

# პუბლიკაციები, რომლებიც შესულია „შეცდომა თუ დანაშაული?!“-ს პირველ ექვს წიგნში

სათქმელი დროულად უნდა ითქვას. – 1998 წ.

„პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები –  
პოლიტიკურ საქმიანობას“ – 2001 წ.

უპასუხოდ დარჩენილი კითხვები. – 2001 წ.

პრეზიდენტს მისი გუნდის ბევრი წევრი ღალატობს. – 2000 წ.

გვახსოვდეს ბავშვები. – 2000 წ.

პასუხი ორ შეკითხვაზე. – 2001 წ.

ახლა მაინც წაიკითხონ ჩემი  
მათლამი გაგზავნილი წერილი. – 2001 წ.

ამბავი სხვადასხვა აქციისათვის  
თავშემონახული ხალხისა. – 2002 წ.

მოკლეს თბილისი, ჩვენი თბილისი, მთლად  
გააბახეს დედაქალაქი. – 2002 წ.

საბაზრო ეკონომიკა „პაზარს“ როდი ნიშნავს! – 1992 წ.

გადაახდევინეთ მილიონი და აშენოს რამდენიც უნდა. – 2001 წ.

არჩევნები, ო, ეს არჩევნები! – 1999 წ.

„საერთაშორისო სავალუტო ფონდი –  
სიკეთე თუ ბოროტება“ – 2005 წ.

რეგულირება თუ დერეგულირება. – 2005 წ.

მხოლოდ პროფესიონალიზმი გადაგვარჩენს – 2002 წ.

აღსრულდა ნოე ჟორდანიას წინასწარმეტყველება,

კომუნიზმის ლიკვიდაცია კომუნისტების მეთაურობით

განხორციელდა – 2003 წ.

პოლიტიკოსები ისევ ქურდობენ – 2003 წ.

„სამჯერ წავიტეხეთ ფეხი, სამჯერ ვერ ავირჩიეთ  
რიგიანი პარლამენტი“ – 2003 წ.

პრობლემა ნომერი პირველი – 2003 წ.

პრივატიზაცია – შეცდომა თუ დანაშაული?! – 2004 წ.

კვლავაც ვწეროთ და ჩვენვე ვიყითხოთ?! – 2004 წ.

თამამად ვეძებოთ აღტერნატიული ვარიანტები – 2004 წ.

ვერანაირი ახალი კანონი ვერ გვიშველის, თუ ეკონომიკის

განვითარების რადიკალური

პროგრამა არ შემუშავდა – 2004 წ.

საჭიროა მარტივფორმულიანი  
კონკრეტული პროგრამა – 2004 წ.

გაუგებარი ბრძანება და გასაგები ქუჩის აქციები,  
ასე ეკონომიკას ვერ ავაშენებთ – 2005 წ.

გაუგებარი ბრძანება და გასაგები ქუჩის აქციები, ასე  
ეკონომიკას ვითომ ავაშენებთ? – 2005 წ.

შევხედოთ სიმართლეს თვალებში – 2005 წ.

ვუახლოვდებით ჩვენს ზღვას, რომელიც, სამწუხაროდ,  
ჯერ ასე შორია?! – 2005 წ.

ხსნის ერთადერთი გზა საყოველთაო შრომაა – 2005 წ.

საკონტროლო-სალარო აპარატების ყველა დონეზე  
დანერგვის აბსურდულ მოთხოვნებს მის  
დისკრედიტაციამდე მივყავართ – 2006 წ.

შეცდომები, რამაც ქვეყნის ეკონომიკა დაანგრია და  
დღესაც ანგრევს – 2007 წ.

რას გვიქადის და დაქცევას, განადგურებას! – 2007 წ.

ცრუ ზელისუფალთა ცრუ საქმეები – 2008 წ.

პრეტენდენტებს - მხოლოდ თანაბარი პირობები – 2008 წ.

აურჩეველი რჩეული – 2008 წ.

ქვეყნის განადგურების გეგმას მთელი ერი წინ უნდა აღუდგეს!  
იქნებ ერის სულიერ მამას მაინც მივუგდოთ ყური – 2009 წ.

საკუთრების გარეშე კაცს სამშობლო არა აქვს – 2009 წ.

საქართველოს კუნიმიკის გადარჩენის ქართული გეგმა – 2009 წ.

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს  
ბატონ მიხეილ სააკაშვილს – ვინ და რატომ ცდილობს  
ხალხის და ხელისუფლების დაპირისპირებას?! – 2004 წ.

საქართველოს კუნიმიკურ მეცნიერებათა აკადემიას – 2010 წ.

ღია წერილი ქართველ მწერლებს – საქართველოს  
მწერალთა XX ყრილობაზე ვერნათქვამი სათქმელი – 2000 წ.

ღია წერილი ბატონ თამაზ წიგწივაძეს – 2001 წ.

ღია წერილი ქვეყნის საკანონმდებლო და  
აღმასრულებელ ხელისუფლებას –  
უპასუხოდ დატოვებული კითხვები – 2001 წ.

ღია წერილი ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს – ვაითუ ჩვენი  
ენა ქართული ისტორიის კუთვნილება გახდეს... – 2010 წ.

ღია წერილი ქალბატონ რუსუდან კერვალიშვილს –  
თქვენგან ამას არ ველოდით – 2010 წ.

ღია წერილი ბატონ ბაჩო ახალაძის –  
დაღუპული გმირების სახელების უკვდავყოფაზე  
ზრუნვა ყველას უპირველესი საქმეა! – 2010 წ.

ღია წერილი ბატონ ზურაბ ნოღაიდელს –  
ზოგიერთი ამონარიდი თქვენი წარსული საქმიანობის  
შეფასების საბრალებულო დასკვნიდან – 2010 წ.

ღია წერილი ხელისუფლებას –  
„ოლონდ ქართულად ვილაპარაკოთ“ – 2007 წ.

ღლა წერილი „მწერალ“ ლაშა ბუღაძეს –  
ყველაფერს აქვს საზღვარი, თვით თვალსაზრისსაც კი! – 2010 წ.

ენა გადავრჩინოთ, ქართველებო! – 2010 წ.

რომელი ეპოქა უფრო რყვნის ჟურნალისტებს? – 2010 წ.

შავგვრემანებს შავი ჩოხა მოგვიხდება!.. – 2011 წ.

ჩვენი დამაქცევარი საბჭოთა სისტემა... – 2011 წ.

ახალგაზრდობა – იმედი ხვალის... – 2011 წ.

ღლა წერილი საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარეს ბატონ დავით ბაქრაძეს –  
ქართული ენის გადარჩენა ხელისუფლების  
სერიოზული საფიქრალი უნდა იყოს! – 2011 წ.

კიდევ ერთი მოკრძალებული თხოვნა პატრიარქს! – 2011 წ.

„....ან აღვიგვებით მიწისაგან პირისა როგორც ერი!“ – 2011 წ.

ნაციონალებს ხმას არ მივცემ! – 2012 წ.

სანამ შევიგნებთ, რომ ჩვენიბედი ჩვენსავ ხელთაა! – 2012 წ.

დადასტურებული, უტყუარი ფაქტები  
საბრალდებო დასკვნისთვის – 2012 წ.

„ქაჯები მოდიან“ და მრავლდებიან... – 2012 წ.

# პუბლიკაცები, რომელიც „შეცდომა თუ დანაშაული?!“-ს კრებულებში არ არის შესული

პრივატიზაცია? დიას, მაგრამ...

გაზეთი „რესპუბლიკა“, 30 ივნისი, 1991 წელი

საბაზრო ეკონომიკას მომავალი თაობა გადავაყოლეთ  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 სექტემბერი, 1996 წელი

ლია წერილი საქართველოს პრეზიდენტს  
ბატონ ელუარდ შევარდნაძეს  
„სახალხო გაზეთი“, თებერვალი, 1999 წელი

ვიაზროვნოთ, მიუხედავად იმისა,  
რომ ეს ხელისუფლებას არ მოსწონს.

„ქართველი ძლიერია უფსკრულის პირას მიყენებული“  
„დილის გაზეთი“, 23 აგვისტო, 1999 წელი

გაყინული ექსპერიმენტი, ანუ მინისტრებმა  
პრეზიდენტის დავალება მიიყერისძირეს  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 თებერვალი, 2000 წელი

ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის ხომ არ აკეთებენ  
(გაყინული ექსპერიმენტი)  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 მარტი, 2000 წელი

ექსპერიმენტი, რომელიც შემოსავლების გაორმაგებას გვპირდებოდა,  
სახელისუფლებო ქსელში „გაჭვდეს“  
გაზეთი „დოკონი“, 18 ივლისი, 2000 წელი

დაე, ისმინოს ბრძამაც და ყრუმაც!

გაზეთი „სარკმელი საქართველოსი“, იანვარი, 2001 წელი

ღია წერილი საქართველოს მწერალთა კავშირის  
თავმჯდომარეს, ბატონ თამაზ წივწივაძეს  
გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“,  
9-15 თებერვალი, 2001 წელი

დაე, ისმინოს ბრძამაც და ყრუმაც!  
გაზეთი „სარგმელი საქართველოსი“, ივნისი, 2001 წელი

ფიქსირებული გადასახადები ტოტალური საგადასახადო  
კორუფციის შემცირებისა და მეწარმეობის გადარჩენის  
ერთადერთი შანსი  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 აგვისტო, 2001 წელი

ჩვენთან პროფესიონალიზმის დეფიციტია  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ივლისი, 2002 წელი

ხმამაღლა სათქმელი  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 მარტი, 2003 წელი

ამ პროგრამით „ტაძრამდე“ ვერ მივაღთ  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,  
23 ოქტომბერი. 2003 წელი

ნუ იქნებით „სტაგების“ ტყვეობაში, ნუ გადაიხდით  
ქრთამს თქვენი შვილების უსწავლელობაში  
ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №2, 2004 წელი

ვინ რას მიიღებს პრივატიზაციიდან  
ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №3, 2004 წელი

რატომ ამჯობინებენ დუმილს მეცნიერები  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,  
21 აგვისტო, 2004 წელი

გადასახადების ამკრეფთ შემოქმედებითი  
მიღვიმა აღარ დასჭირდებათ  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 იანვარი, 2005 წელი

„მაგიური“ ბრძანება ანუ „საით მიღიხარ,  
საცოდაო საქართველოვ?!  
უურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა, №5, მარტი, 2005 წელი

ფიქსირებული გადასახადი და სიღარიბის დაძლევა  
გაზეთი „მცირე მეწარმე“, ივლისი, 2005 წელი

მეტი დაფიქრება გმართებთ, ბატონებო  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,  
27 სექტემბერი, 2005 წელი

დროა თავი დაანებონ ხავსზე მობლაუჭებას  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 ნოემბერი, 2005 წელი

**Сначала надо заживать рану, а потом уже думать о шраме**  
газета “Свободная Грузия”, 17 ноября, 2005 г.

„სოფლის შენებას რა უნდა“  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 ნოემბერი, 2005 წელი

საზოგადოებრივი ტელევიზია საკუთარ საზოგადოებას დასცინის  
გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 10 მარტი, 2006 წელი

„სახელი ხალხისა, სახრავი – სხვისა“ ანუ ვის  
ინტერესებს იცავს საზოგადოებრივი მუწესებლობა?  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 მარტი, 2006 წელი

ბუმერანგი უკვე დაგვიძრუნდა, ქვეყანა სულს დაფავს  
გაზეთი „ქრონიკა“, 30 ოქტომბერი 5 ნოემბერი, 2006 წელი

**ესენი თავის ჯიბის მაყურებელი ხალხია  
გაზეთი „ქრონიკა“, 6-12 ნოემბერი, 2006 წელი**

**ქართულ სახელმწიფოს მიზანმიმართულად ანადგურებენ  
„საერთო გაზეთი“, მაისი, 2007 წელი**

**საქართველოს პარლამენტი უკანონობის დაკანონებას აპირებს  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 ნოემბერი, 2008 წელი**

**საქართველოში კანონის შეუსრულებლობის უზენაესობა მეფობს  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ნოემბერი, 2008 წელი**

**ვის ხარჯზე მდიდრდებიან ჩინოვნიკები?  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 დეკემბერი, 2008 წელი**

**იტყვის ნოღათდელი სიმართლეს?  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 თებერვალი, 2009 წელი**

**ნუ დავასხამთ წყალს სხვის წისქვილზე  
„საერთო გაზეთი“, 25 თებერვალი, 2009 წელი**

**პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები – პოლიტიკოსობას  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 მარტი, 2009 წელი**

**რასაც ეს მთავრობა აკეთებს, ეს არის ქვეყნის  
და ხალხის დალატი  
„საერთო გაზეთი“, 11 მარტი, 2009 წელი**

**თუ რუსეთთან ეკონომიკური კავშირი  
გავწყვიტეთ წარმოუდგენელი კატასტროფა გველის  
„საერთო გაზეთი“, 14 აგვისტო, 2008 წელი**

**მაისაშვილისგან უარესსაც უნდა კლოდეთ!**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 აპრილი, 2009 წელი

**მოაზროვნე საზოგადოება ამას უკვე აღარავის აპატიებს**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 12 იანვარი, 2010 წელი

**შინაური მტერი – მტერზე უფრო მტერი!**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 19 იანვარი, 2010 წელი

**დენთის სუნი მცემს**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 22 აპრილი, 2010 წელი

**ბაქიბუქის დრო დამთავრდა, გადადით კონკრეტულ საქმეზე!**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 18 ნოემბერი, 2010 წელი

**ყურცელიტა ბიუროკრატები**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 მარტი, 2011 წელი

# საჩხელი

ავტორისაგან	3
შეეშვით ხალხის დაბოლებას, კმარა!	5
რაც მოგივა დავითაო...	7
ურემი უკვე გადაბრუნდა, ფრთხილად!	10
როდის მოეღება ბოლო თქვენს	
ყელყელაობასა და ბრახაბრუნებეს?!?	13
ქართული ენა შველას ითხოვს!	19
გთავაზობთ რუბრიკა	
„ფოტობრალდების“ აღდგენას	21
ეს ხელისუფლება მართლა ფრთხილობს	
თუ მართლა „ბუქსაობს“?	23
„ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის საქმიანობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების წინააღმდეგი ვარ“	28
ღია წერილი „სხვა საქართველო სად არის?! ანუ რა უნდა ეწოდოს ჩვენს ქვეყნას მსოფლიოს ყველა ენაზე!“	31
პუბლიკაციები, რომლებიც შესულია „შეცდომა თუ დანაშაული?!”-ს პირველ ექვს წიგნში	34
პუბლიკაციები, რომლებიც „შეცდომა თუ დანაშაული?!”-ს კრებულებში არ არის შესული	39

# ანზორბაბუს გვერდი

მეცნიერებელისა და წინადაღისებისათვის

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

ანზორ ბაბუსალია – 599 54 54 60; 2 22 43 39

E-mail: anzorbabu@mail.ru

# ანზორბაბუს გვერდი

მეცნიერებელისა და წინადაღისებისათვის

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

ანზორ ბაბუსალია – 599 54 54 60; 2 22 43 39  
E-mail: anzorbabu@mail.ru

# ანზორბაბუს გვერდი

მეცნიერებელისა და წინადაღისებისათვის

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

ანზორ ბაბუსალია – 599 54 54 60; 2 22 43 39


E-mail: anzorbabu@mail.ru

**ანზორ ბაბუხაძის  
„შეცდომა თუ განაშაული“  
VII ნაწილი  
(ქართულ ენაზე)**

**ANZOR BABUKHADIA  
MISTAKE OR  
PUNISHMENT?!  
(PART VII)**

ტექნიკური რედაქტორი:  
პახაგაშვილი

შპს „გამოცემლობა სამობლო“  
თბილისი, რობაქიძის №7  
ტელ.: 599 95 31 90



## ანგორ ბამუსაძიამ

თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის უკონომი-  
კურტი ფაკულტეტის წარ-  
ჩინებით დამთავრების  
შემდეგ (1966 წ.) განვლო  
გრადაცია უკონომისცი-  
დან საქართველოს მთავ-  
რობის მთავარ სახელმწი-  
ფო მტრივლამდე. წლების  
განმავლობაში მიწვეული  
იყო თბილისის სახელმწი-  
ფო უნივერსიტეტში უკ-

ნომიკურტი პროფესიის ფაკულტეტში სახელმწიფო სა-  
გამოცდო კომისიის თავმჯდომარე. დამთავრებული აქვს  
სსრ კავშირის მინისცერთა სამჭავალო არსებული სახალ-  
ხო მუზეუმის აკადემია. არის საქართველოს დამსახუ-  
რებული უკონომისცი. გაზრდა „თანადგომა“-ს გამომცემუ-  
ლი. შიგნების ინცერტუატშის დაცვის კავშირის თავმჯდო-  
მარე. დაჯილდომულია „ღირსების ორიენტი“, იაკობ გო-  
გებაშვილის მედლით, ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრე-  
მილო, გერამ ანჯაფარიძის სახელობის საერთაშორისო  
ფონდის ლაურეატის წოდებითა და ორი მედლით.

აჯორია წიგნების: „მხალეოდ თანადგომა გადაგვარ-  
ჩინს“ (1998 წ.), „შეცდომა თუ დანაშაული?“ (ნაწ. I. 2003  
წ., ნაწ. II. 2005 წ., ნაწ. III. 2008 წ., ნაწ. IV. 2009 წ.,  
ნაწ. V. 2011წ. ნაწ. VI. 2012), „კულავაც შეწყვით და  
ჩვენვე ვიკითხოთ?!“ (2004 წ.), „პრომლება ნომები პირვე-  
ლი“ (2005 წ.), „ათესაზოთო, საცვიაზო ჩვენო!“ (2006 წ.)  
„გრადაციასთვერთ“ (2007 წ.).